პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის მე-40 წელი
№ 41 (11652) | ხუთშაბათი, 18 თებერვალი, 1960 წ. | ფასი 20 კაპ.

იმისათვის, რომ განვამტკიცოთ მშვიდობა დედამიწაზე, უნდა გადავჭრათ საყოველთაო და სრული განიარაღების საკითხი. ჩვენი სურვილია, რომ საბჭოთა და ბირმელ გავშვებს, მსოფლიოს ყველა ქვეყნის გავშვებს მშვიდად ეძინოთ, რომ მათ არასოდეს არ განიცადონ ომის საშინელებანი, რომ მათი მომავალი ისევე ულრუბლო და ნათელი იყოს, როგორიც არის რანგუნის დღევანდელი ცა. ჩვენი სურვილია, რომ სახსრები, რომლებიც ახლა იხარჯება ზარბაზნებისა და თვითმფრინავებისათვის, რაკეტებისა და ყუმბარებისათვის, იხარჯებოდეს ანა იარალის წარმოებისათვის, არამედ ბინების ასაგებად და მასობრივი მოსმარების საქონლის საწარმოებლად, აზიის, აფრიკის, ლათინური ამერიკის ეკონომიურად ჩამოტანებული ქვეყნებისათვის უანგარო და ფართო - დახმარების გასაწევად.

ნ. ხრუშჩოვი

მოგილოცავთ წარმატებებს, ინდოელო მეგობრებო!

ნ. ს. ხრუშჩოვის საუბარი საბჭოთა და ინდოელ სპეციალისტებთან

გჰილაის მეტალურგიულ ქარხანაში 1960 წლის 15 თებერვალს

დელი, 16 თებერვალი. (საკდესი). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი ორ დღეს — 14 და 15 თებერვალს ეცნობოდა ბჰილაის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობასა და მუშაობას. ეს ქარხანა შენდება საბჭოთა და ინდოელი სპეციალისტებისა და მუშების ძალებით დიდი შემოქმედებითი აღმავლობის ატმოსფეროში და წარმოადგენს საბჭოთა კავშირ-ინდოეთის მეგობრობის ცოცხალ სიმბოლოს. ბჰილაის ქარხანა დიდი საწარმოა, რომელიც შექმნილია ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით. მისი პროექტი შეიმუშავა მეტალურგიული ქარხნების დამპროექტებელმა სახელმწიფო ინსტიტუტმა. მთელი მოწყობილობა დაპროექტებული და აგებულია საბჭოთა კავშირში. კადრების მომზადება მიმდინარეობდა სსრ კავშირის აქტიური დახმარებით როგორც საბჭოთა საწარმოებში, ისე თვით ბჰილაის ქარხანაში.

საბჭოთა ადამიანები აქ ცხოვრობენ და შრომობენ ინდოელებთან ერთად ერთსულოვან ოჯახად. მათ შორის ცოტა როდია თავისი საქმის თვალსაჩინო მცოდნე. ნ. ს. ხრუშჩოვი წარსულში შეხვედრია მათ „აზოვსტალის", „ზაპოროჟსტალის", სტალინოს მეტალურგიული ქარხნისა და სხვა საწარმოების საამქროებში. ახლა აქ, ბჰილაიში, მოხდა ახალი აღმაფრთოვანებელი შეხვედრები მათთან, როგორც ძველ ნაცნობებთან. საბჭოთა მუშები და ინჟინრები გულითადად მიესალმნენ ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს.

საბჭოთა მთავრობის მეთაურს მხურვალედ მიესალმნენ ინდოელებიც. ბევრი მათგანი შეხვედრებისა და საუბრების დროს ნ. ს. ხრუშჩოვს მიმართავდა რუსულ ენაზე: მათ ასწავლეს რუსული ენა საბჭოთა ადამიანებთან ერთად მუშაობის დროს. ინდოელებზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა იმ გარემოებამ, რომ საბჭოთა მთავრობის მეთაური კარგად ერკვევა ტექნიკაში, მეტალურგიასა და სამშენებლო საქმეებში.

უპასუხა რა მათს კითხვებზე, ნ. ს. ხრუშჩოვმა განმარტა, რომ თავის დროზე სწავლობდა სამრეწველო აკადემიაში მეტალურგიულ ფაკულტეტზე, ხოლო შემდეგ მას არაერთხელ მოუხდა მუშაობა მეტალურგიის პრაქტიკულ პრობლემებზე.

საბჭოთა მთავრობის მეთაური დიდხანს ჩერდებოდა საბრძმედე, მარტენის, საგლინავ საამქროებში და საკოქსე ბატარიებთან და დაწვრილებით ეკითხებოდა ინჟინრებსა და მუშებს, თუ როგორ ეუფლებიან ისინი ახალ რთულ ტექნიკას, გამოთქვამდა კმაყოფილებას მათ მიერ მიღწეული შედეგების გამო, უკარნახებდა ზოგიერთი საწარმოო ამოცანის გადაწყვეტას, რაც მიღებულია საბჭოთა მეტალურგიული მრეწველობის უმდიდრესი გამოცდილებიდან.

ინდოელმა და საბჭოთა სპეციალისტებმა სთხოვეს ნ. ს. ხრუშჩოვს ესაუბრნა ზოგიერთ პრაქტიკულ საკითხზე, რომლებიც დაკავშირებულია ბჰილაის ქარხნის მშენებლობასა და ათვისებასთან. იგი დათანხმდა ამ წინადადებაზე, და საუბარი გაიმართა 15 თებერვალს. საუბარში მონაწილეობდნენ ინდოეთის მხრივ: მრეწველობის მინისტრი მანუბჰაი შაჰი, ქარხნის გენერალური დირექტორი შრივასტავა, მისი მოადგილეები, სამმართველოთა უფროსები, ფოლადის, წიალისა და სათბობის სამინისტროს მდივანი ბუტალინგამი, „ჰინდუსტან სტილის" კორპორაციის გამგეობის თავმჯდომარე პანდე და სხვები; საბჭოთა კავშირის მხრივ: სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგარეო ეკონომიური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ს. ა. სკაჩკოვი და ნ. ს. ხრუშჩოვის სხვა თანმხლები პირები, ქარხნის მშენებლობის მთავარი ინჟინერი ნ. ვ. გოლდინი, საგარეო ეკონომიური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის წარმომადგენლები, მთავარი საბჭოთა სპეციალისტები, რომლებიც მუშაობენ ქარხნის მშენებლობასა და ათვისებაზე, სსრ კავშირის ელჩი ინდოეთში ი. ა. ბენედიქტოვი და სხვები.

ქვემოთ ქვეყნდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან არსებული პრესსკგუფის მიერ პრესისათვის მომზადებული საუბრის ჩანაწერი.

ნ. ს. ხრუშჩოვი. საუბრის რა წესი გსურთ შემომთავაზოთ?

მანუბჰაი შაჰი. მინდა უწინარეს ყოვლისა წარმოგიდგინოთ ის სპეციალისტები, რომლებიც აქ ესწრებიან. შემდეგ გთხოვთ გაგვიზიაროთ თქვენი შთაბეჭდილებანი ქარხნის შესახებ და გამოთქვათ თქვენი შენიშვნები და სურვილები. გთხოვთ აგრეთვე ნება მისცეთ ჩვენს სპეციალისტებს მოგმართონ შეკითხვებით, რომლებიც მათ აინტერესებთ. თუ თქვენი მხრივ დასმული იქნება შეკითხვები, ჩვენ ხალისით გიპასუხებთ.

ნ. ს. ხრუშჩოვი. თანახმა ვარ.

მანუბჰაი შაჰი. აქ დამსწრე ინდოელ სპეციალისტთა სახელით გმადლობთ, ბ-ნო ხრუშჩოვ, ჩამოსვლისა და გულთბილი სიტყვებისათვის, რომლებიც ჩვენს მიმართ წარმოთქვით. მინდა აგრეთვე ინდოელ სპეციალისტთა სახელით ვთქვა რამდენიმე სიტყვა თქვენს მიმართ.

ჩვენ გიცნობთ როგორც დიდი ქვეყნის დიდ ხელმძღვანელს. მაგრამ ამ მომენტში აქ თქვენ თითქოს სხვა თანამდებობაში გამორიხართ. ჩვენ ყველანი დავრწმუნდით თქვენი აქ ყოფნის დროს, რომ კარგად ერკვევით მეცნიერებისა და ტექნოლოგიის საკითხებში, ძალიან ღრმად გესმით მეტალურგიის პრობლემა. ჩვენი პრემიერ-მინისტრი ბ-ნი ნერუ აგრეთვე მეცნიერებისა და ტექნიკის დიდი დამცველია, და ყოველი გამოსვლის დროს იგი მუდამ ხაზს უსვამს მეცნიერებისა და ტექნიკის დიდ მნიშვნელობას ცხოვრებაში.

ნება მიბოძეთ წარმოგიდგინოთ აქ დამსწრე ინდოელი სპეციალისტები.

(მინისტრმა ნ. ს. ხრუშჩოვს წარუდგინა საუბრის დამსწრე ინდოელი სპეციალისტები.

აქ დამსწრე პარლამენტის წევრმა მადჰიას პრადეშის შტატისაგან ნაიტ სინგჰმა თავის ამომრჩეველთა სახელით ნ. ს. ხრუშჩოვს სამახსოვრო საჩუქარი მიართვა).

ნ. ს. ხრუშჩოვი. გმადლობთ. ჩემთვის ეს საჩუქარი ძვირფასია იმით, რომ იგი მომაგონებს ბჰილაის.

შრივასტავა. თქვენო აღმატებულებავ, ჩემთვის დიდი პატივია შეგხვდეთ დღეს თქვენ და გითხრათ რამდენიმე სიტყვა ბჰილაის მეტალურგიულ ქარხანაზე. მას შემდეგ, რაც 1956 წლის დამლევს საბჭოთა კავშირიდან მივიღეთ ტექნიკური პროექტი, მაშინვე დაიწყო სამშენებლო საქმიანობა. პირველ ბრძმედს საძირკველი ჩაეყარა 1957 წლის მაისში. 1958 წლის განმავლობაში სამუშაოთა ტემპი მნიშვნელოვნად გაძლიერდა. ამავე დროს მშენებელთა კადრები როგორც ინდოეთის მხრივ, ისე საბჭოთა კავშირის მხრივ მნიშვნელოვნად შეივსო. საბჭოთა და ინდოელი სპეციალისტების ერთობლივი მეცადინეობის შედეგად 1958 წლის დამლევისათვის დამთავრდა პირველი ბრძმედი და 1959 წლის 4 თებერვალს დაიწყო თუჯის წარმოება.

რამდენიმე დღის წინათ ჩვენმა ბრძმედებმა დაამთავრეს პირველი 400 ათასი ტონა თუჯის გამოდნობა. ფოლადის წარმოება დაიწყო 1959 წლის 12 ოქტომბერს. საგლინავმა დგანებმა, ბლუმინგმა და უწყვეტსანამზადო დგანმა წარმოება დაიწყეს 1959 წლის ნოემბერსა და დეკემბერში. ამ ხნის განმავლობაში ჩვენ გამოვუშვით 60 ათასზე მეტი ფოლადის ზოდი და უკვე გავგლინეთ 22 ათას ტონაზე მეტი ნამზადი.

საბჭოთა და ინდოელ სპეციალისტებს შორის კარგი თანამშრომლობაა. ჩვენ ვმუშაობთ გულითადობისა და მეგობრობის ატმოსფეროში.

რასაკვირველია, იყო ძალიან დიდი სიძნელეები ასეთი დიდი მშენებლობის განხორციელებაში, მაგრამ ყოველთვის იყო განუწყვეტელი კონსულტაციები საბჭოთა და ინდოელ სპეციალისტებს შორის. ჩვენ თან გვდევდა წარმატება ყველა საკითხისა და პრობლემის გადაჭრაში.

მთელი მოწყობილობა, ყველა მექანიზმი, რომლებიც საბჭოთა კავშირიდან მივიღეთ და აქ დავამონტაჟეთ, წარმატებით მუშაობს. მიმდინარე 1960 წელს უნდა დავამონტაჟოთ კიდევ ერთი ბრძმედი, 4 მარტენის ღუმელი და ერთი საკოქსე ბატარია. გარდა ამისა, უნდა დავამონტაჟოთ ორი საგლინავი დგანი — რელს-კოჭისა და სორტული. იმედი გვაქვს, რომ მიმდინარე წლის დამლევს ყველა ძირითადი ობიექტი და საამქრო მთლიანად გადაეცემა საექსპლოატაციოდ. ვფიქრობ, რომ როგორც საბჭოთა, ისე ინდოელი სპეციალისტები და მუშები ძალიან ბეჯითად იშრომებენ, რათა მშენებლობა დაამთავრონ მიმდინარე წლის დამლევისათვის.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქარხნის მომარაგებას ნედლეულით. უკვე რამდენიმე თვის შემდეგ რკინის მადნის და კირქვის მოპოვება მთლიანად მექანიზებული იქნება. ამრიგად ქარხნისათვის ნედლეულის შეუფერხებელი მიწოდების ამოცანა მთლიანად გადაიჭრება.

ის ახალგაზრდა ინდოელი სპეციალისტები, რომლებიც საბჭოთა კავშირში სწავლობდნენ, ძალიან დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებენ ჩვენი ქარხნის ცხოვრებაში. ჯერჯერობით სიძნელეები გვაქვს ქარხნისათვის კვალიფიციური მუშების შეგროვებაში. მაგრამ ქარხანაში არის რამდენიმე ინდოელი სპეციალისტი, რომლებსაც მეტალურგიული საწარმოების ექსპლოატაციის დიდი გამოცდილება აქვთ, და ახლა ჩვენ ვიღებთ ღონისძიებებს, რათა ბჰილაის ქარხნისათვის კვალიფიციური კადრები გამოვზარდოთ ძირითადად აქ, ბჰილაიში.

დასასრულ მინდა კიდევ ერთხელ გავუსვა ხაზი იმ გულითადობისა და მეგობრობის სულისკვეთებას, რომელიც არსებობს ინდოელ და საბჭოთა მუშებსა და სპეციალისტებს შორის. იმედი გვაქვს, რომ მიმდინარე წლის დამლევისათვის მთელი მშენებლობა წარმატებით დამთავრდება.

ნ. ს. ხრუშჩოვი. უწინარეს ყოვლისა მინდა მადლობა გადავუხადო მრეწველობის მინისტრსა და ქარხნის გენერალურ დირექტორს მისალმების გულთბილი სიტყვებისა და ინფორმაციისათვის ქარხნის შესახებ. ჩემი შთაბეჭდილებანი რამდენადმე გამოვთქვი იმ მიტინგზე წარმოთქმულ სიტყვაში, რომელიც ეს არის ახლა გაიმართა. მაგრამ მინდა ზოგი რამ დავძინო.

მე საუკეთესო შთაბეჭდილება დამრჩა თქვენი ქარხნის შესახებ. თქვენ შეგიძლიათ თქვათ, რომ პროექტი შეიმუშავეს საბჭოთა კავშირში, რომ ჩვენ თვითონ ვუწევთ კონსულტაციას მშენებლობას და თვითონ ვიქებთ თავს მსგავსად იმისა, როგორც მამა აქებს თავის ვაჟს. მაგრამ თუ ფირმა აქებს თავის მოწყობილობას, როცა მას სურს მისი გაყიდვა, — ეს ერთია, ხოლო როცა ეს მოწყობილობა უკვე მუშაობს და მუშაობს ცუდად, მაშინ ენა უნდა დაიმოკლო. თუ მოწყობილობა არ იმუშავებს, რამდენიც უნდა აქო, სულ ერთია ამით იგი უკეთესი არ გახდება.

როგორც ხედავთ, ჩვენი მოწყობილობა კარგად მუშაობს, და ეს თვითონ მეტყველებს თავის სასარგებლოდ. გულახდილად გეტყვით. ჩვენ ვიამაყებდით ასეთი ქარხნით, იგი ჩვენს ქვეყანაში რომ ყოფილიყო აშენებული. ეს კარგი ქარხანაა, უახლესი მოწყობილობით, რომელიც შეესაბამება მეცნიერებისა და ტექნიკის თანამედროვე მიღწევებს მეტალურგიის დარგში.

თქვენს ქვეყანაში მეტალურგიულ ქარხნებს აშენებენ ინგლისელებიც და გერმანელებიც. ამიტომ თქვენ შეგიძლიათ შეადაროთ და შეამოწმოთ, თუ რამდენად მართლაც უახლესია ეს მოწყობილობა. ყოველ შემთხვევაში, როგორც მე მითხრეს, მათ უფრო ადრე დაიწყეს აშენება. ჩვენ კი ბჰილაის ქარხნის მშენებლობას უფრო გვიან შევუდექით. მაგრამ ჩვენი და თქვენი ქარხანა რამდენჯერმე მეტ ლითონს იძლევა, ვიდრე ის ქარხნები, რომელთა მშენებლობა უფრო ადრე დაიწყეს.

მე ბჰილაის ქარხანას ჩვენს ქარხანას ვუწოდებ, იმიტომ რომ იგი ჩვენთვის ნამდვილად მშობლიურია. მაგონდება, როცა ჩვენ ფორდთან დავდეთ ხელშეკრულება (ეს დიდი ხნის წინათ იყო) გორკის საავტომობილო ქარხნის მშენებლობის შესახებ და ქარხანა აშენდა, ფორდი, აძლევდა რა ბრძანებებს თავის ქარხნებს ამერიკაში, ამ ბრძანებათა პირებს გორკიშიც გზავნიდა და გორკის საავტომობილო ქარხანას უწოდებდა თავის „ფილიალს", და ჩვენი დირექტორი რეგულარულად იღებდა ამ ბრძანებათა პირებს. ჩვენ გვესმოდა ფორდის გულისთქმა და არ ვვმდურდით მას.

ჩვენ გვახარებს თქვენი დიდი წარმატებანი ქარხნის მშენებლობასა და წარმოების ათვისებაში. ჩვენ ისევე, როგორც თქვენ, დარწმუნებული ვართ, რომ ქარხნის მშენებლობა, მიმდინარე წელს დამთავრდება. ამ წლის ბოლომდე თქვენ შეძლებთ აამუშაოთ ბრძმედი და მარტენის ღუმელი და საკოქსე ბატარია. ჩვენში ბრძმედს ვაგებთ 6 თვეში, მარტენის ღუმელი შეიძლება აშენდეს დაახლოებით 3 თვეში. უფრო რთულია საკოქსე ბატარიის მშენებლობის სამუშაოები.

ახლა უნდა ვიფიქროთ თქვენი ქარხნის მეორე რიგის განვითარებაზე. ეს შეიძლება მნიშვნელოვნად დაჩქარდეს. აქ მთავარი დამოკიდებულია მოწყობილობის წარმოებისათვის დახარჯულ დროზე. მაშასადამე, უნდა შევიმუშაოთ მოწყობილობის დამზადების გრაფიკი და ახლავე მოვამზადოთ საძირკვლებიც, რათა, როგორც კი მოწყობილობა მზად იქნება, რაც შეიძლება მალე დავდგათ იგი ადგილზე.

მე არა მაქვს ყველა მონაცემი იმისათვის, რომ უფრო გარკვევით გამოვთქვა ჩემი რეკომენდაციები — რა სიმძლავრით განავითაროთ ქარხანა. მაგრამ დღეს, როცა მინისტრს ვუსმენდი, გამახსენდა სამუშაოები ჩვენს ქვეყანაში უდიდესი მეტალურგიული ქარხნების გასაფართოებლად.

ჩვენ, მაგალითად, უფრო ლოგიკურად მივიჩნიეთ ახალ ადგილზე ქარხნების აშენებლობის ნაცვლად გაგვეფართოებინა მაგნიტოგორსკის მეტალურგიული კომბინატი, სადაც ლითონის გამოდნობას გავადიდებთ წელიწადში 6 მილიონიდან 12 მილიონ ტონამდე. ამით ჩვენ ვზოგავთ უდიდეს სახსრებს და ვიგებთ დროს. რაც შეეხება თქვენი ქარხნის მნიშვნელოვან გაფართოებას მომავალში, ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შესაძლებელია უზრუნველყოთ იგი კარგი მადნით, დოლომიტებით, წყლით, ყოველივე იმით, რაც საჭიროა ასეთი დიდი მეტალურგიული კომბინატისათვის. თუ ასეთი შესაძლებლობანი აქ არის, ეს ხელსაყრელი იქნება. ჯერ კიდევ იმ წლებში, როცა სამრეწველო აკადემიაში ვსწავლობდი, პროფესორი ბარანსკი გვიკითხავდა ეკონომიური გეოგრაფიის კურსს, რომელშიც განმარტავდა, თუ რა მონაცემები უნდა იქნას გათვალისწინებული საწარმოს ასაშენებლად ადგილის არჩევის დროს.

მინდა გითხრათ, მე დიდი მომხრე ვარ, რომ მშენებლობაში ლითონის კონსტრუქციები შეიცვალოს რკინაბეტონის კონსტრუქციებით. ეს უფრო იაფია, იმიტომ რომ ნაკლები ლითონი იხარჯება. თქვენს ქარხანაში ჯერჯერობით ცოტაა რკინაბეტონის კონსტრუქციები. ამბობენ, რომ ინჟინერ-მეტალურგები წინააღმდეგი არიან და აცხადებენ, რომ გოგირდოვანი ნარჩენები გავლენას ახდენენ ბეტონზე. თქვენ ხომ მცირეგოგირდიანი მადნები გაქვთ, და ამიტომ აქ პირობები რკინაბეტონისათვის კარგია. საერთოდ კი რკინაბეტონის ნელა დანერგვის მიზეზი ის არის, რომ ეს ახალი საქმეა. ხოლო მშენებელთა შორის ძალიან კონსერვატიული ადამიანებიც არიან. **(დამსწრეთა მხიარული გამოცოცხლება).** ისინი მიეჩვევნენ ლითონის კონსტრუქციებს და ამიტომ არა სურთ შეცვალონ რკინაბეტონის კონსტრუქციებით. ჩვენში გამოვიყენეთ ზემოქმედების ზოგიერთი ზომა, შემოვიღეთ მატერიალური დაინტერესება და გარკვეული ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა უფრო ეკონომიური რკინაბეტონის კონსტრუქციების დანერგვისათვის. ახლა ჩვენში რკინაბეტონი ფართოდ ინერგება.

ჩვენი ინჟინრების წინაშე დაისვა საკითხი, რომ აქ მიზანშეწონილია უფრო ფართოდ დაინერგოს რკინაბეტონის კონსტრუქციები. მაგრამ ჩვენ ვიგრძენით, რომ ინდოეთის მთავრობა შეყოყმანდა ამის გამო. ჩვენ განსაკუთრებით აღარ შეგვითავაზებია ეს რეკომენდაცია. დაე თვითონ ცხოვრებამ ცხადყოს მისი ხელსაყრელობა. ყველამ იცის, რომ ყოველ ახალ საქმეში საკუთარი გამოცდილება ძალიან დამაჯერებელია. კაცს შუბლზე კოპი რომ გაეჩნდება, თვითონ მიხვდება ყველაფერს. ცნობილია, რომ რკინაბეტონი ხარჯავს ალბათ ათჯერ ნაკლებ ლითონს, ვიდრე ლითონის კონსტრუქციები. თქვენ არც ისე ბევრი ლითონი გაქვთ, რომ არ გაუფრთხილდეთ მას. მაგრამ დაე არა ათჯერ, არამედ ხუთჯერ ნაკლები დაიხარჯოს ლითონი, თქვენთვის დიდი მოგება იქნება. აგრეთვე ცნობილია, რომ რკინაბეტონი უკეთ იქცევა, ვიდრე ლითონი. ამიტომ მე მხარს ვუჭერ რკინაბეტონს.

საბჭოთა კავშირში უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე მკვეთრად გავადიდეთ რკინაბეტონის წარმოება. გირჩევთ გამოგზავნოთ თქვენი მშენებელი ინჟინრები და კარგად შეისწავლოთ ეს საქმე. მომავალი რკინაბეტონს ეკუთვნის: იგი იაფია, რაციონალურია, დიდხანს ძლებს.

ახლა მინდა გაგაცნოთ ის, თუ როგორ გადავწყვიტეთ ჩვენში მშენებლობის ერთ-ერთი დიდი საკითხი.

რამდენიმე წლის წინათ ჩვენს საშენებლო სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებს დავავალეთ სამრეწველო საწარმოთა უფრო რაციონალური მშენებლობის ტიპური პროექტების შემუშავება. ამაზე მუშაობდნენ ბევრი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი, ეკონომისტები და მათ წარმოადგინეს თავიანთი წინადადებები. ჩვენმა მთავრობამ დაამტკიცა ეს წინადადებანი და გამოჰყო ყველაფერი, რაც საჭიროა მშენებლობის უფრო პროგრესული სისტემის დანერგვისათვის.

ამ წინადადებებში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა დაძაბული არმირების დეტალების დამზადებას. მშენებლობის ამ მეთოდების დანერგვა ფართოდ გავრცელდება, როგორც ჩანს, ორი წლის შემდეგ; უნდა მოვამზადოთ სამრეწველო ბაზა დეტალების დასამზადებლად და სხვ.

რას იძლევა ეს? ეს იძლევა შესაძლებლობას, რომ დაგეგმვის დროს უფრო ეკონომიურად განვალაგოთ ქარხნები, დაახლოებით 30 პროცენტით შევამციროთ ქარხნის ეზოების ფართობი. ამის შედეგად მიღწეულ იქნება მნიშვნელოვანი ეკონომია კომუნიკაციებზე. ტრანსპორტზე, კანალიზაციაზე, ელექტროკვების. წყლის მიყვანაზე და სხვ. საამქროთა შენობები ისე აშენდება, რომ არ ექნება დღის განათება. ექნება ხელოვნური სინათლე, დაცული იქნება მუდმივი ტემპერატურა, კარგი ვენტილაცია. ყოველივე ეს მუშაობის უკეთეს პირობებს შექმნის. ბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ საამქროთა შინაგანი მოწყობა შეიძლება უფრო რაციონალური გავხადოთ — სვეტებს შორის მანძილის შეცვლით. ეს ამასთან ერთად მოგვცემს მეტი მანევრირების შესაძლებლობას ტექნოლოგიის გარდასაქმნელად, როცა ერთი საწარმოო მეთოდი იცვლება მეორე, უფრო პროგრესული მეთოდით. გაცილებით უფრო ადვილი იქნება მოწყობილობის გადაადგილება. ყველა ამ უფრო პროგრესული მეთოდის დანერგვა საშუალებას გვაძლევს შვიდწლედში დავზოგოთ დაახლოებით 50-60 მილიარდი მანეთი. ჩვენ ხალისით გაგიზიარებთ ამ გამოცდილებას, რადგან ამ მიღწევებს მშენებლობაში საიდუმლოდ არ ვინახავთ და მუდამ მზად ვართ გავუზიაროთ გამოცდილება ჩვენს მეგობრებს.

მანუბჰაი შაჰი. დიდად გმადლობთ. თქვენ თქვით, რომ მეტალურგიულ ქარხნებში არის ბევრი ორთქლი, განსაკუთრებით გოგირდოვანი. ამ გოგირდის შემცველობა ჩვენს მადნებსა და ნედლ მასალებში უმნიშვნელოა, და რკინაბეტონის გამოყენება პრაქტიკული იქნება.

ნ. ს. ხრუშჩოვი. შესაძლოა, რომ ზოგიერთ საამქროში საჭირო არ არის რკინაბეტონის გამოყენება, როცა გოგირდოვანი ორთქლის გავლენა ძალიან დიდია. მაგრამ ისეთ დიდ ქარხანაში, როგორიც თქვენია, კომუნიკაციები ძალიან დიდია, ამიტომ რკინაბეტონის გამოყენების შესაძლებლობაც ძალიან დიდია.

მინდა აღვნიშნო ჩვენი კონსტრუქტორების კიდევ ერთი ნაკლი მეტალურგიულ ქარხნებში, რომელსაც ზოგიერთმა მათგანმა ჯერ კიდევ ვერ დააღწია თავი. ეს ნაკლია უწყებრივი, ამქრული მიდგომა, თუ იგი მეტალურგია, არ ცნობს ქიმიას, არ ცნობს მშენებლობას და ახალ მიღწევებს მასში. ამას მე ვამბობ ჩვენს კონსტრუქტორებზე, თქვენთან კი შეიძლება არც იყოს ასე.

მანუბჰაი შაჰი. ჩვენც გვაქვს ასეთი ნაკლოვანებები.

ნ. ს. ხრუშჩოვი. გულახდილად რომ ვთქვა, ეს ნაკლი აქაც შევნიშნე. იგი წარმოიშვა, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ ქარხნის პროექტის შემუშავების დროს. ჯერ კიდევ მაშინ უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული წიდის გადამუშავება. ეს ხომ იაფი საშენი მასალაა. ხოლო საშენი მასალა თქვენს ქარხანასაც ესაჭიროება, როგორც ზოგიერთ ჩვენს ქარხანაში, ისე თქვენს ქარხანაშიც, წიდის გადამუშავება არ ყოფილა გათვალისწინებული.

მანუბჰაი შაჰი. ახლა აპირებენ აქ ააშენონ ცემენტის ქარხანა წიდის გადამუშავების ბაზაზე.

ნ. ს. ხრუშჩოვი. იცით რა, ერთი საქმეა როცა აპირებ, ხოლო მეორე საქმეა პროექტში გათვალისწინება. ეს რომ პროექტში ყოფილიყო გათვალისწინებული, მაშინ უფრო რაციონალური იქნებოდა საამქროების განლაგება და, ამრიგად, მოხერხდებოდა ტრანსპორტზე ზედმეტი ხარჯების თავიდან აცილება.

შემდეგ, თუ გადავამუშავებთ, მაგალითად, წიდას მინერალურ მატყლად, უნდა ავიღოთ ცხელი წიდა, არ უნდა გავაცივოთ იგი, უნდა შევინარჩუნოთ საჭირო ტემპერატურა და არ დავხარჯოთ სათბობი გახურებაზე, არამედ ერთბაშად გადავაქციოთ მზა პროდუქციად. ამას ხშირად არ აკეთებენ ჩვენში, არ აკეთებენ თქვენშიც. ასე რომ ეს ნაკლი თქვენდამი უპატივცემულობის გამოვლინება როდია. ეს ნიშნავს, რომ პროექტის ავტორები ჯერ თავის თავსაც არ სცემენ პატივს. **(დამსწრეთა მხიარული გამოცოცხლება).** აბა როგორ არ ვუწოდოთ მათ კონსერვატორები?

მანუბჰაი შაჰი. მომავალში გავითვალისწინებთ თქვენს რჩევას. ეს ძალიან რაციონალურია.

ნ. ს. ხრუშჩოვი. ახლა მინდა რამდენიმე სიტყვა ვთქვა საბინაო მშენებლობაზე. ჩემი აზრით, ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში თქვენ გაქვთ ისეთი ნაკლოვანებები, რომელთა შესახებ გაჩუმება არ შეიძლება. ის, რაც ვნახე თქვენთან საბინაო მშენებლობაში, მეტწილად კუსტარობის შედეგია და მომდინარეობს გლეხის ფსიქოლოგიიდან. ყოველი გლეხი ინდივიდუალისტია და სურს ჰქონდეს ცალკე პატარა სახლი. თქვენ მისდევთ ამ ჩვეულებას. მაგრამ ქალაქის ტიპის სოფლებში უნდა აშენდეს 4-5-სართულიანი სახლები ადგილობრივი კლიმატური პირობების გათვალისწინებით. ყოველივე ეს უნდა გაითვალისწინონ არქიტექტორებმა დაგეგმვის დროს. განა თქვენ ისეთი მდიდრები ხართ, რომ ასე უყაირათოდ აშენოთ? იმას, რასაც თქვენ აკეთებთ, სხვა რამ არ შეიძლება ეწოდოს, ეს უყაირათობაა. მე რომ მენახა ასეთი საბინაო მშენებლობა საბჭოთა კავშირის მეტალურგიულ ქარხანაში, მაგრად გავაკრიტიკებდი. **(დამსწრეთა მხიარული გამოცოცხლება).**

ვფიქრობ, რომ არ გამიკცხავთ, თუ ახლა რამდენიმე მოსაზრებას გამოვთქვამ იმის შესახებ, თუ როგორ უნდა აშენდეს უფრო ეკონომიურად საბინაო მშენებლობა. ჩემი შეხედულებით, საცხოვრებელი სახლები უკეთესია აშენდეს ბეტონისაგან და არა აგურისაგან. შეიძლება მითხრან, რომ ჩვენ ისე მდიდრები არა ვართ, რომ ჩვენ რკინა ცოტა გვაქვსო. აი სწორედ იმიტომ, რომ თქვენ ისე მდიდრები არა ხართ, მიმაჩნია, რომ თქვენთვის უკეთესია საცხოვრებელი სახლები აშენოთ ბეტონისაგან. თუ მოაგვარებთ სახლების წარმოებას ბეტონისაგან, ეს მნიშვნელოვნად უფრო იაფი იქნება, სახლები უფრო მკვიდრი და უკეთესი იქნება, ვიდრე აგურისა. რასაკვირველია, ბევრი რამ დამოკიდებულია ადგილობრივ პირობებზე. მაგრამ ვფიქრობ, რომ აქაც უკეთესია სახლები აშენოთ ბეტონისაგან.

ამასთან თქვენ აშენებთ უმთავრესად ერთსართულიან პატარა სახლებს, რომლებიც ძალიან ძვირი ჯდება. სპეციალისტებმა გამოიანგარიშეს, რომ ყველაზე ხელსაყრელია ოთხ-ხუთსართულიანი სახლები.

როცა ჩვენ ქარხნის დაბის ტერიტორიაზე ვიყავით, ეს მოსაზრებანი გავუზიარე ჩემს თანმხლებ ინდოელ მეგობრებს. მათ განმიმარტეს, რომ ერთსართულიან კოტეჯებს აქ აშენებენ კლიმატური პირობების გათვალისწინებით. ვფიქრობ, რომ მათი მოსაზრებანი მაინც არ არის დამაჯერებელი. ხომ შეიძლება ისე დავაპროექტოთ ოთხ-ხუთსართულიანი სახლები, რომ ისინი დააკმაყოფილებენ ადგილობრივ კლიმატურ პირობებს, თანამედროვე ჰიგიენურ და სანიტარიულ ნორმებს. ამასთან ისინი გაცილებით უფრო იაფი დაჯდება, ვიდრე ერთსართულიანი კოტეჯები. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ოთხ-ხუთსართულიანი სახლების მშენებლობა უდიდეს უპირატესობას იძლევა საძირკველსა და სახურავზე სახსრების ეკონომიის თვალსაზრისით. ამასთან, თუ ავაშენებთ ოთხ-ხუთსართულიან საცხოვრებელ სახლებს, ეს მნიშვნელოვნად შეამცირებს ქვაფენილების, ტროტუარების, კანალიზაციის, წყალსადენის, ელექტროქსელის აგების ხარჯებს.

მაგრამ საჭიროა, რომ არქიტექტორებმა კარგად მოიფიქრონ ყველა ეს საკითხი თქვენი პირობების შესაბამისად, გაითვალისწინონ ბაღების, კარგი სკვერების შექმნა, რომ თვით სახლები მყუდრო და მოხერხებული იყოს იქ მცხოვრები ადამიანებისათვის, რომ დაბები ლამაზი და მიმზიდველი იყოს.

თუ თქვენ მოისურვებთ, ჩვენ შეგვიძლია შევქმნათ თქვენთვის სანიმუშო დაბის პროექტი. ამ სამუშაოს შე-

(დასასრული მე-2 გვერდზე)

ᲛᲝᲒᲘᲚᲝᲪᲐᲕᲗ ᲬᲐᲠᲛᲐᲯᲔᲑᲔᲑᲡ, ᲘᲜᲓᲝᲔᲚᲝ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲝ!

(დასასრული)

Ն. Ս. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ

სასრულებლად შეიძლება შევარჩიოთ გამოცდილი კონსტრუქტორები, ინჟინრები და არქიტექტორები, ისინი შეიმუშავებენ პროექტს, თქვენ ნახავთ მას და გადაწყვეტთ, თუ მოგეწონებათ — მიიღებთ, არ მოგეწონებათ — არ მიიღებთ.

მანუბჰაი შაჰი. ეს ძალიან კარგი იდეაა. ჩვენ მივესალმებით ამ იდეას.

Ն. Ս. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘ. გთხოვთ მხედველობაში იქონიოთ, რომ ჩემი შენიშვნები არავის და არაფერს არ ავალებს, — ეს, ასე ვთქვათ, ჩემი ცოცხალი დაკვირვებაა, რომლის გაზიარებაც თქვენთვის მსურდა. და ამ მოსაზრებებს გამოვთქვამ არა მარტო როგორც პოლიტიკური მოღვაწე, არამედ როგორც ადამიანი, რომელსაც დიდი ხანია აინტერესებს ეს საკითხები.

ახლა საბჭოთა კავშირში საბინაო მშენებლობაში სულ უფრო ფართოდ იყენებენ რკინაბეტონს. არც ჩვენ გვყოფნის ლითონი, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ლითონს მნიშვნელოვნად უფრო მეტს ვაწარმოებთ, ვიდრე თქვენ. მაგრამ მოთხოვნილება ჯერ კიდევ აღემატება ჩვენს შესაძლებლობებს ლითონის წარმოებაში. ხოლო იმ რკინაბეტონის კონსტრუქციების ხმარებისას, რომლებსაც ჩვენ ვიყენებთ, რკინასა და ცემენტს გაცილებით ნაკლებს ვხარჯავთ, ვიდრე ჩვეულებრივი ქვის წყობის დროს.

ჩვეულებრივ მშენებლობაში რკინაც და ცემენტიც მეტი იმიტომ იხარჯება, რომ კედლები სამჯერ და მეტად უფრო მძიმეა, ვიდრე რკინაბეტონის ხმარების დროს. ამიტომ კედლების წონას რომ ვამსუბუქებთ, ამით ვიაფებთ ღირებულებას, ვამცირებთ ლითონისა და ცემენტის ხარჯს, ვამცირებთ აგრეთვე გადაზიდვის ტონაჟს და ამით ვიაფებთ მშენებლობის ღირებულებას.

თქვენს პირობებში, როგორც ჩანს, უფრო მიზანშეწონილია მშენებლობაში გამოიყენოთ ბამბუკ-ბეტონის არმირება. დარწმუნებული ვარ, რომ ეს იქნებოდა უფრო იაფი, ხელსაყრელი, უფრო მსუბუქი. ბამბუკი თქვენ გაქვთ, ლელიც ალბათ არის. ასე რომ 3-4-სართულიანი სახლის მშენებლობისათვის შეიძლება წარმატებით გამოიყენოთ ბამბუკით ან ლელით არმირებული ბეტონი. თქვენში შეიძლება საბინაო მშენებლობაში გამოყენებულ იქნას აგრეთვე ღრუ ბეტონის ბლოკები.

ჩვენ ხალისით გაგიზიარებთ ინჟინერ კოზლოვის ვიბროგლინვის სისტემით ნაგლინი დეტალებისაგან საბინაო მშენებლობის გამოცდილებას.

თქვენს პირობებში შესაძლოა უმჯობესი იყოს გამოიყენოთ ბეტონის ნაგლინი ანდა თაბაშირ-ბეტონის ნაგლინი ცემენტის ფუძეზე. ვიბრონაგლინი თაბაშირის საფუძველზე შეიძლება წარმატებით გამოყენებულ იქნას ტიხრებისათვის, ხოლო გარე დამცავი პანელები გაკეთდეს ცემენტის ფუძეზე.

ჩვენ იმით ვამაყობთ, რომ დიდი წარმატებები მოვიპოვეთ საბინაო მშენებლობაში და ახლა ამ დარგში წამყვანი ადგილი გვიჭირავს. მაგალითად, აიღეთ მოსკოვი. ალბათ მსოფლიოში არ არის მეორე ისეთი ქალაქი, სადაც საბინაო მშენებლობა წარმოებდეს ისე სწრაფად, ისეთი ფართო მასშტაბით, როგორც მოსკოვში. მაგალითად, შარშან მოსკოვში აშენდა 2.700 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, ხოლო წელს გეგმით დასახულია აშენდეს 3 მილიონი კვადრატული მეტრი. ეჭვი არ არის, რომ მოსკოველები არა მარტო მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც შეასრულებენ ამ გეგმას.

თქვენ რომ უკეთ წარმოიდგინოთ, თუ რას ნიშნავს ეს, მინდა მოვიყვანო ასეთი ციფრები: რევოლუციამდელ მოსკოვში საცხოვრებელი ფონდი შეადგენდა სულ 11 მილიონ კვადრატულ მეტრს. ეს აშენებული იყო ჩვენი დედაქალაქის მთელ 800 წლის ისტორიაში, ამასთან ძველ მოსკოვში შენობათა აბსოლუტურ უმრავლესობას არა ჰქონდა კანალიზაცია, წყალსადენი. ძირითადად შენდებოდა ხის შენობები. ახლა კი იქ სახლები შენდება რკინაბეტონისაგან და სულ უფრო მცირე ხდება აგურისაგან აგებული შენობები.

ჰო და, თუ ძველ, რევოლუციამდელ მოსკოვში მისი არსებობის 800 წლის მანძილზე აშენდა 11 მილიონი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, ამჟამად ამდენი საცხოვრებელი ფართობი აშენდება 3-4 წელიწადში.

როგორც ხედავთ, ჩვენ დიდი გამოცდილება შევიძინეთ საბინაო მშენებლობაში. თუ ჩვენი ინდოელი მეგობრები ინტერესს გამოიჩენენ მისადმი, მზად ვართ ხალისით გავუზიაროთ ეს გამოცდილება.

მინდა გირჩიოთ ფართოდ გამოიყენოთ კოზლოვის კონსტრუქცია. ის ინჟინერ-მექანიკოსია და შექმნა სპეციალური კონსტრუქცია სახლის დეტალების გამზადებისათვის ერთი-ორი ოთახის ან ერთი-ორი სართულის ოდენობით მთელ პანელებად, ბეტონის ვიბროგლინვის გზით. ეს საბჭოთა მიღწევა მინიმუმამდე ამცირებს შრომატევად პროცესებს.

ჩვენში შეიქმნა სხვა კონსტრუქციაც — ინჟინერ ლაგუტენკოსი. იგი უზრუნველყოფს სამენი დეტალების წარმოებას ორტესებრი კოჯის პრინციპით. ასეთი დეტალებისაგან აგებული შენობის სიმძიმე სამჯერ მცირდება აგურთან შედარებით. დასათბუნებლად იყენებენ მინერალურ მატყლს. თქვენ დათბუნება არ გესაჭიროებათ, მაგრამ გარე სითბოსაგან თავდაცვისათვის შეიძლება გამოიყენოთ მინერალური მატყლი ან გრუნტის ჩაყრა.

ჩვენს დროში საცხოვრებელი სახლების შენება არ შეიძლება ისე, როგორც რამდენიმე საუკუნის წინათ აშენებდნენ. **(მხიარული გამოცოცხლება დამსწრეთა შორის).** აიღეთ, მაგალითად, აგური. ადამიანმა ეს საშენი მასალა გამოიგონა და გენიალურად შეუგუა თავის ხელს.

მისთვის ხელები იყო მთავარი საამწეო საშუალება. მაგრამ ახლა ჩვენ გვაქვს მძლავრი ამწეები, რომლებსაც შეუძლიათ ასწიონ 3-5 ტონა წონის დიდი დეტალები და ბლოკები. დადგით რამდენიმე ასეთი ბლოკი — და სახლის ერთი სართული მზად არის. ჩვენთან მოსკოვში ასეთი მეთოდით ხუთსართულიანი სახლები შენდება 30 დღეში. შემდეგში განზრახული გვაქვს ისინი ავაგოთ 15 დღეში. ჩვენი აზრით, აი ასე უნდა წარმოებდეს მშენებლობა ამჟამად ტექნიკის ახლანდელი დონის პირობებში.

მანუბჰაი შაჰი. — თქვენო აღმატებულებავ, ძალიან კარგი იქნებოდა თუ გამოგვიგზავნიდით ბ-ნ კოზლოვს ან სხვა არქიტექტორს. დაე მათ წარმოგვიდგინონ ბჰილაის განაშენიანების გეგმა ქარხნის გაფართოების გათვალისწინებით. ეს თხოვნა კიდევ უფრო ეხება რანჩის, სადაც მანქანათსამშენებლო ქარხანა აშენდება.

Ն. Ս. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘ. ამხანაგი კოზლოვი არქიტექტორი როდია, იგი ინჟინერ-მექანიკოსია და მისი აქ გამოგზავნა, ვგონებ, საჭირო არ არის. მისი მეთოდი უნდა შეისწავლოთ ადგილობრივ, სადაც მის კონსტრუირებულ მანქანებს იყენებენ. თავისი გამოგონებებისათვის იგი ამას წინათ დაჯილდოებულ იქნა უმაღლესი ჯილდოთი — მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება. დაჯილდოებული არიან აგრეთვე ლაგუტენკო და იუზბაშევი (ლენინგრადელები) და მოსკოველი ინჟინერი სუსნიკოვი. მათ დიდი საქმე გააკეთეს მშენებლობის დარგში.

ჩვენ შეგირჩევთ შესაფერ სპეციალისტებს. ამ მხრივ მენდეთ, მომიჩინეთ თქვენს „რწმუნებულად“ მოსკოვში, მე კი ვეცდები გირჩიოთ საუკეთესო რამ, ყველაზე მოწინავე რამ.

მანუბჰაი შაჰი. მე მოველაპარაკები მინისტრს, რომელიც საბინაო მშენებლობას განაგებს ინდოეთში, რომ შეარჩიოს ინჟინერ-მშენებელთა ჯგუფი. დაე ისინი გაემგზავრონ საბჭოთა კავშირში და გაეცნონ საბინაო მშენებლობის უახლეს მეთოდებს.

Ն. Ս. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘ. მინდა აღვძრა კიდევ ერთი საკითხი. იქნებ მიზანშეწონილი იყოს ინდოეთში შეიქმნას სახელმწიფო სამშენებლო ორგანიზაცია. მშენებლობის ახალი მეთოდების დასანერგავად უნდა შეიქმნას საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ასაწყობ საბინაო მშენებლობას ფართო მასშტაბით ვერ აწარმოებ, თუ არ იქნა ქარხნები, რომლებსაც შეუძლიათ მასობრივად დაამზადონ სახლის დეტალები. ასეთი ქარხნების მშენებლობა მოითხოვს კაპიტალდაბანდებებს, და ყველა კერძო მეწარმე, რომელსაც პატარა საქმე აქვს, ამას არ დათანხმდება. მისთვის ხომ ხელსაყრელიც არ არის ასეთი ქარხნების შექმნა. ასეთი ღონისძიება ხელსაყრელი გახდება მხოლოდ მაშინ, როცა შეიძლება მოეწყოს დეტალების ნაკადი და მასობრივი წარმოება. ამისათვის კი საჭიროა მომზადდეს სოლიდური საწარმოო ბაზა, რომელიც სახელმწიფოს კუთვნილება იქნება და მხოლოდ ის შეძლებს ფართოდ გამოიყენოს იგი. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში იქნება დეტალების წარმოება ხელსაყრელი, იაფი, მაღალი ხარისხისა და რაციონალური.

მანუბჰაი შაჰი. დელის ახლოს არის პანელებისა და ღრუ ბლოკების სახელმწიფო ქარხანა, რომელიც მცირე რაოდენობით ამზადებს ასეთ ნაწარმს. რა თქმა უნდა, თქვენო აღმატებულებავ, ეს მხოლოდ დასაწყისია. — შემდეგში ჩვენ სულ უფრო გავაფართოებთ ამ დარგს მშენებლობაში, რათა ნედლეული მივაწოდოთ იმათ, ვისაც ესაჭიროება.

Ն. Ս. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘ. ახლა მზად ვარ გიპასუხოთ საკითხებზე, რომლებიც თქვენ გაინტერესებთ.

მანუბჰაი შაჰი. როგორ არის თქვენში ფოლადის უწყვეტი ჩამოსხმის დანერგვის საქმე? მოვახერხებთ თუ არა ჩვენც დავნერგოთ ეს მეთოდი ქარხნის გაფართოების დროს?

Ն. Ս. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘ. ამ კითხვებზე ჩვენი სპეციალისტი მეტალურგები უკეთ გიპასუხებენ, ვიდრე მე. ეს ახალი საქმეა.

ჩვენ უკვე ვიყენებთ ფოლადის განუწყვეტელ ჩამოსხმას ზოგიერთ ჩვენს ქარხანაში.

მანუბჰაი შაჰი. როცა სვარან სინჰი საბჭოთა კავშირში იყო, მან ტულაში ნახა ფოლადის უწყვეტი ჩამოსხმა.

Ს. Ა. ᲡᲘᲐᲩᲙᲝᲕᲘ. ფოლადის უწყვეტი ჩამოსხმა მოწყობილია გორკის ქარხანა „კრასნოე სორმოვოში“, ტულაში და მზადდება სტალინოში.

Ն. Ս. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘ. საჭიროა გადახვიდეთ უწყვეტ ჩამოსხმაზე და დანერგოთ ჟანგბადიანი ბერვა.

Ն. Ვ. ᲒᲝᲚᲓᲘᲜᲘ. აქ გათვალისწინებულია ჟანგბადიანი ბერვა.

მანუბჰაი შაჰი. თქვენ გუშინ ახსენეთ ცეცხლგამძლეები. 3-4 წლის შემდეგ ჩვენ ავაშენებთ საწარმოებს, რომლებიც დაამზადებენ ყველა ცეცხლგამძლე მასალას, რაც საჭიროა ჩვენი მრეწველობისათვის, მეტალურგიული ქარხნებისათვის, ფეროშენადნობთა, ალუმინის, ფეროშენადნობიტური ქარხნებისათვის და ა. შ. ორი საწარმო უკვე შენდება, ხოლო სულ აშენდება ცეცხლგამძლეთა ხუთი ქარხანა როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორებში.

არ ვიცი, მოიწონებთ თუ არა ამ იდეას, მაგრამ ჩვენს მთავრობას სურს მოგმართოთ თხოვნით, რომ დაგვეხმაროთ ერთი-ორი ქარხნის მშენებლობაში, რომლებიც აწარმოებენ მადალხარისხოვან ცეცხლგამძლე მასალებს.

Ն. Ս. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘ. მე ვფიქრობ, რომ შეგვიძლია განვიხილოთ ეს საკითხი. საჭიროა განავითაროთ ცეცხლგამძლეთა მრეწველობა. მეტალურგია ხომ ვერ გაიზრდება, თუ ცეცხლგამძლეები არ ექნა. ნედლეული კი თქვენში ძალიან კარგია.

მანუბჰაი შაჰი. საუცხოოა! აგურს ქარსის ჩაწინწკლვით უკვე ვამზადებთ, არა მარტო ჩვენთვის, არამედ საექსპორტოდაც.

Ն. Ս. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘ. უმჯობესია გაიტანოთ, ვიდრე შემოიტანოთ! **(გამოცოცხლება დამსწრეთა შორის).**

Ն. Ვ. ᲒᲝᲚᲓᲘᲜᲘ. ჩვენ გავითვალისწინებთ, ნიკიტა სერგის-ძევ, თქვენს შენიშვნებს, რომლებზეც აქ ლაპარაკი იყო.

რამდენიმე სიტყვა მინდოდა მეთქვა ქარხნის მშენებლობაზე. ეს თანამედროვე მეტალურგიული ქარხანა შეიქმნა ორნახევარ წელიწადში სრული მეტალურგიული ციკლით. საჭიროა ცალკე აღინიშნოს საბჭოთა კავშირიდან 430 ათასი ტონა მოწყობილობის, ლითონის კონსტრუქციებისა და მასალების დროზე მოწოდება, რომლებიც აქ გემებით მოიტანეს.

ქარხნის მშენებლობაში გამოყენებულ იქნა ჩვენი მოწინავე მეთოდები, რომლებმაც თავისი დანიშნულება გაამართლეს საბჭოთა კავშირში. აქ, ბჰილაიში, პირველად შეიქმნა მძლავრი სახელმწიფო სამონტაჟო ორგანიზაციები ელექტროტექნიკური მოწყობილობის, ტექნოლოგიური მოწყობილობის, ნაწილობრივ ლითონის კონსტრუქციებისა და ცეცხლგამძლე წყობის დარგში. ამ ორგანიზაციებში მუშაობს 18 ათასი კვალიფიციური მემონტაჟე, რომლებმაც სამონტაჟო სამუშაოთა კარგი სკოლა გაიარეს ბჰილაის მეტალურგიულ ქარხანაში.

უნდა აღინიშნოს, რომ ქარხანაში შეიქმნა ურთიერთპატივისცემის, ნდობის, დახმარების განსაკუთრებით მეგობრული ვითარება. საბჭოთა სპეციალისტები უდიდესი სურვილით უზიარებენ თავიანთ დიდ გამოცდილებას ინდოელ მეგობრებს. ჩვენ ბევრ რამეს უნდა ვუმადლოდეთ საბჭოთა მთავრობას, პირადად თქვენ, ნიკიტა სერგის-ძევ, ინდოეთის მთავრობასა და პრემიერ-მინისტრ ნერუს იმ უდიდესი დახმარებისათვის, რასაც ჩვენ ყოველდღე ვგრძნობთ ბჰილაის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობის მსვლელობაში.

ჩვენ არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, რომ მინისტრს სვარან სინგჰს ყოველდღიურად აინტერესებს მშენებლობის მდგომარეობა. ჩვენ აქტიურად გვეხმარებიან ჩვენი საელჩო დელიში, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგარეო ეკონომიური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტი.

ნიკიტა სერგის-ძევ! მარტენის საამქროში თქვენ ესაუბრეთ ინდოელებს ოსტატ პილაისა და მეფოლადე პილის და საბჭოთა მეფოლადეს კურუჩკინს. დღეს ისინი 11 საათის ნაცვლად 8 საათში აღნობენ ფოლადს. ბრძმედებმა უკვე გადააჭარბეს საპროექტო სიმძლავრეებს. ორ თვეში ათვისებულია საგლინავი დგანის ყველა პროფილი.

სიტყვას გაძლევთ, ნიკიტა სერგის-ძევ, რომ საბჭოთა სპეციალისტები ყოველ ღონეს იხმარენ, რათა ინდოელ მეგობრებთან ერთად მიმდინარე წელს დაამთავრონ მეტალურგიული ქარხნის მშენებლობა დასახული სიმძლავრის — 1 მილიონი ტონა სიმძლავრისა. **(ტაში).**

ბჰილაელები უდიდესი სიხარულით შეხვდნენ გადაწყვეტილებას იმის შესახებ, რომ ქარხნის სიმძლავრე დიდდება — იგი წელიწადში გამოადნობს 2,5 მილიონამდე ტონა ფოლადს. აქ არსებული სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციები რომ შევინარჩუნოთ სასწრაფოდ გვესაჭიროება პროექტები. მათი სწრაფად მომზადება ძალუძთ მხოლოდ საბჭოთა კავშირის საპროექტო ორგანიზაციებს. გთხოვთ დახმარებას ამ საქმეში, ნიკიტა სერგის-ძევ.

ახლა მინდა გადმოგცეთ ბჰილაის მეტალურგიული ქარხნის ფოტოსურათების ალბომი.

Ն. Ս. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘ. ჩვენი მთავრობა კმაყოფილია მუშაობით, რომელიც საბჭოთა სპეციალისტებმა და ინდოეთის სპეციალისტებმა შეასრულეს კომბინატის მშენებლობაში. სკკპ ცენტრალური კომიტეტის, საბჭოთა მთავრობის სახელით მინდა მადლობა გიძღვნათ საბჭოთა სპეციალისტებსა და მუშებს კარგი მუშაობისათვის და გისურვოთ, რომ არ გაყოყოჩდეთ, სრულყოფდეთ თქვენს საქმეს და მიღიოდეთ წინ. **(ტაში).**

ახლა კომბინატის გაფართოების პროექტის შესახებ. აქ არის ჩვენი წარმომადგენელი, რომელიც უწინარეს ყოვლისა უნდა ზრუნავდეს იმისათვის, რომ პროექტი დროზე მომზადდეს.

Ս. Ս. ᲡᲙᲐᲩᲙᲝᲕᲘ. ჩვენ უკვე ვიღებთ ღონისძიებებს. დეკემბერში საპროექტო ინსტიტუტის დირექტორთან ერთად ვიყავით მშენებლობაზე. ამ ინსტიტუტის წარმომადგენელი ამხანაგი გორა აქ არის. წინასწარი მონაცემებით, ერთი ტონა ფოლადის წარმოების დანახარჯი ქარხნის გაფართოების შემდეგ 30-35 პროცენტით ნაკლები იქნება, ვიდრე მაშინ, როცა ქარხნის სიმძლავრე ერთი მილიონი ტონა. **(ტაში).**

Ն. Ս. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘ. კიდევ რა საკითხებია?

ᲞᲐᲚᲐᲕᲐᲰᲘ. (მეტალურგიული ქარხნის ექსპლოატაციის მთავარი ინჟინრის მოადგილე). — ჩვენ მადლობელი ვართ კარგი მარტენის ღუმელებისათვის, რომლებიც აგებულია ბჰილაიში. ეს ღუმელები ყველაზე დიდია ინდოეთში. მაგრამ შეგვიძლია კიდევ უფრო გავადიდოთ ფოლადის გამოშვება, გავაორკეცოთ მათი წარმაღობა. ბჰილაის მარტენის საამქროებში ახლა ხორციელდება სხვადასხვა ექსპერიმენტები და კვლევითი სამუშაოები. ჩვენ დიდად კმაყოფილი ვართ იმით, რომ აიგება 500 ტონა სიმძლავრის მარტენის ღუმელები.

მანუბჰაი შაჰი. გულთბილი მადლობა უნდა მოგახსენოთ, თქვენო აღმატებულებავ, იმ სიტყვებისა და შენიშვნებისათვის, რომლებიც აქ თქვენგან მოვისმინეთ. ყველა ჩვენი ტექნიკოსი და სპეციალისტი, ვინც აქ არის, დიდად კმაყოფილი იქნება, თუ მათ მისცემენ ამ საუბრისა და თქვენი რჩევა-დარიგებისა და შენიშვნების ჩანაწერს, რომლებსაც ჩვენ შევასრულებთ.

ჩვენ აგრეთვე მადლობას ვუძღვნიდ ბატონებს, სკკპ კოვსა და გოლდინს, რომლებიც ყოველდღიურ დახმარებას გვიწევენ ქარხნის მშენებლობაში და ჩვენთან ერთად ყოველ ღონეს ხმარობენ მშენებლობის მალე დამთავრებისათვის. ჩვენ დიდად ვაფასებთ იმ როლს, რომელსაც საბჭოთა სპეციალისტები ასრულებენ. ბატონ გოლდინთან ერთად ქარხნის მშენებლობაში.

ორი დღის განმავლობაში, რაც თქვენ ბჰილაიში ხართ, ჩვენ შევეცადეთ რაც შეიძლება მეტი გვეჩვენებინა და გვეამბნა თქვენთვის ქარხნის მშენებლობის მდგომარეობის შესახებ. თქვენ ალბათ დარწმუნდით, რომ ჩვენი ადამიანები გულღიად გხვდებიან. თქვენ დაინახავდით, რომ დახმარებას, რომელსაც თქვენი ქვეყანა ესოდენ უხვად გვიწევს, ეფექტიანად ვიყენებთ. მინდა დაგარწმუნოთ, რომ მასები, რომლებიც თქვენ აქ გხვდებოდნენ, დიდად კმაყოფილი არიან თქვენი ვიზიტით.

Ն. Ս. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘ. გთხოვთ გადასცეთ მილოცვა მემარტენე და მებრძმედე მუშებს, რომლებმაც მშვენივრად აითვისეს საწარმოო პროცესი და ვახტზე დადგნენ დღეს, რათა გვიჩვენონ მაქსიმალური საწარმოო შესაძლებლობანი, რომლებსაც მარტენები და ბრძმედები შეიცავენ. მიულოცეთ აგრეთვე ყველა იმათ, ვინც მზად არის ფოლადი გამოადნოს 8 საათში 11 საათის ნაცვლად, გამოადნოს მაღალი ხარისხის ფოლადი შრომის მაღალი ნაყოფიერების საფუძველზე. ყველა ამ მუშას მე, როგორც ყოფილ მუშას, მინდა გადავცე მეგობრული მუშური მილოცვა. როგორც მუშას, მე მინდა ვუწოდო მათ ამხანაგები, ხოლო როგორც საბჭოთა სახელმწიფოს წარმომადგენელმა და როგორც მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ, მე მათ უნდა ვუწოდო ბატონები. **(მხიარული გამოცოცხლება დამსწრეთა შორის).**

მანუბჰაი შაჰი. ყველა თქვენს მისალმებასა და მილოცვას გადავცემთ ბჰილაის მუშებს.

Ն. Ս. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘ. ძალიან გთხოვთ მიულოცოთ ყველა მუშასა და ინჟინერს, უსურვეთ ყველა მათ კარგი წარმატებები. საჭიროა, რომ ქარხანა კარგად მუშაობდეს, რომ ყველას ჰქონდეს კარგი ხელფასი, ხოლო შრომის პირობები ქარხანაში განუწყვეტლივ უმჯობესდებოდეს. ადამიანებმა თავიანთი შრომით დაიმსახურეს ყოველივე ეს. მე კარგად ვიცი, რა სურთ და რას ესწრაფვიან მუშები.

მინდა თქვენ ყველას, ძვირფასო მეგობრებო, გულწრფელი მადლობა გიძღვნათ ჩვენი მეგობრული საუბრისათვის. იგი დიდად სამახსოვრო იქნება ჩემთვის. ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, გისურვებთ ახალ წარმატებებს ეროვნული მრეწველობისა და ეკონომიკის განვითარებაში. ჩვენი სურვილია, რომ თქვენ გქონდეთ არა ბჰილაის ერთი ქარხანა, არამედ ბევრი ასეთი ქარხანა.

Ն. Ս. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘ ᲑᲘᲠᲛᲐᲨᲘ ᲩᲐᲕᲘᲓᲐ

ᲠᲐᲜᲒᲣᲜᲘ, 16 თებერვალი. (საკდესი). დღეს 12 საათსა და 56 წუთზე აღგილობრივი დროით (8 საათსა და 56 წუთზე მოსკოვის დროით) ბირმის მთავრობის მოწვევით რანგუნში ჩამოვიდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘ და მისი თანმხლები პირები. მინგალადონის აეროდრომზე ნ. ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘსა და მის თანმხლებ პირებს შეხვდნენ ბირმის კავშირის პრეზიდენტი უ ვინ მაუნგი, ბირმის პრემიერ-მინისტრი ნე ვინი, ბირმის თავრობის წევრები, ბირმის საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, სსრ კავშირის ელჩი ბირმაში ა. მ. ლეფოვსკი, ბირმაში საბჭოთა კავშირის დაწესებულებების ხელმძღვანელნი, აგრეთვე დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენელნი, რომლებიც აკრედიტებული არიან რანგუნში. თვითმფრინავს, რომლითაც ნ. ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘ ჩამოვიდა, ახლდა ბირმის სამხედრო-საჰაერო ძალების ავიაგამანადგურებელთა საპატიო ესკორტი.

აეროდრომი მორთული იყო საბჭოთა კავშირისა და ბირმის კავშირის სახელმწიფო ალმებით. აეროპორტის ფრონტონზე რუსულ ენაზე წარწერილია ლოზუნგი: „გულითადი სალამი მის ალმატებულებას, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს!“ ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘს ჩამოსელის აღსანიშნავად მიცემულ იქნა ერეხის სალუტი 21 ქვემეხის ზალპით და შესრულებულ იქნა საბჭოთა კავშირისა და ბირმის კავშირის სახელმწიფო ჰიმნები. მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა ბირმის კავშირის პრეზიდენტმა უ ვინ მაუნგმა.

Ն. Ս. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘ Ս Უ ᲕᲘᲜ ᲛᲐᲣᲜᲒᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ

თქვენო აღმატებულებავ!

ბირმის მთავრობისა და ხალხის სახელით, აგრეთვე პირადად ჩემი სახელით სულით და გულით მოგესალმებით თქვენ და თქვენი დელეგაციის წევრებს.

